№ 235
ნოემბრის 3, კვირა 1902 წ.
1877

ივერია

№ 235
ნოემბრის 3, კვირა 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

თ-ნი ალექსანდრე და მიხეილ ყარამანის ძენი ხიდირბეგიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის დის

ეკატერინე ყარამანის ასულის ლაშხისას

და სთხოვენ პატივი სცენ და მობრძანდნენ გარდაცვალებულის გამოსვენებაზე 4 ნოემბერს, დილის 10 საათზედ დ. სურამში საკუთარის სახლიდგან.
(1—449—1)

დარო და გიორგი ბესარიონის ძე კიკნაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თვისის ძვირფასის დეიდის

ეკატერინე ყარამანის ასულის ლაშხისას

და სთხოვენ მობრძანდნენ დ. სურამს, განსვენებულის გვამის გამოსვენებაზე.
(1—450—1)

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☛ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☚

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ივერია“
ჰღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

საწყობი ქაღალდის
დიტიატკოვსკის ამხანაგობის
მოსკოვი. 1882 წ
ნოვგოროდი, 1896წ.
საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.
ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.
ტელეფონი № 66. (30—5.—20)

ქარარდის მანუფაქტურის სააქციონერო საზოგადოების
საწყობში
ტფილისში, სასახლის ქუჩაზე, სათავად-აზნაურო სახლში.

მიღებულია საქონელი საზამთრო სეზონისთვის ფლანელი, ვიგონი, ბაიკისა, შოტლანდიისა, აბრეშუმისა და შალის საგნები, პლედები და შალები, წინდა-ჩულქები, პაიჭები, თბილი ფუფაიკები და პერანგის-ამხანაგები.
Crèpe de santè და ნაძვისა
კაცისა და ქალის თეთრეული. სრული მზითევი. ტილოსი და მიტკლისა, კლეონკები, სხვა-და-სხვა ფერის ტილოს სუფრები და ლინოლეუმი.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.
(17—2) **დონერ—ლეიტცი.**

№ 11. ტელეფონი 617

დილის წარმოდგენა

ქართული თეატრი

კვირას, 3 ნოემბერს, 1902 წ.

დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დაკლებულის ფასებით

დილის 12 საათზედ

I

მეორედ გაყმაწვილება

დრ. 4 მოქ. გად. დ. ერისთავის მიერ.

II

დუელი

ვოდევილი ერთ მოქ. გადმოკ. ნ. გალუსტოვის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი და სხ. ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, კ. შათირიშვილი, სარჯველიძე და სხ.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მანეთიდან 8 მან.-დე; პარტერი 50 კ.-დგან 1 მ. 50კ.-მდე, ამფითეატრი 60 კ.-დან 1 მ.-მდე; გალერეია 20 კ.-დან 35 კ.-მდე.

შეგირდებისათვის ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი დილის 12 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ხალხის მტერი“, „დენიზა“,

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი 617.

დღეს, კვირას, 3-ს ნოემბერს, ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება

კარმენი

ოპერა 4 მოქ. მუზიკა ბიზესი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: კარამზინა-ჟუკოვსკისა, არციბაშევისა, სკორუპსკისა, ბაიერი, ბ-ნნი ლენსკი, სუნცევი, პეტროვი, პევცოვი, სვაბოდინი და სხ.

კაპელმეისტერი **ლ. პ. შტეინბერგი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა გაღებულია დილის 10 საათ. 3-მდე და საღამოს 6-დამ წარმოდგენის გათავებამდე.

ხვალ, ორშაბათს, 4-ს ნოემბერს, **ვ. მ. დობრჟანსკის** საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება **„მეფის სასძლო“.**

მალე წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებს **მ. ნ. ინსაროვისა.**

მზადდება წარმოსადგენად კომიკური ოპერა **„ციგანსკი ბარონი“.**

უფროსი რეჟისორი **ივ. ფითოევი.**

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ა. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
პ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.
მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.
გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон.
(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 სათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.
ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.
პრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.
ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.
კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი
მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

ტფილისი, 3 ნოემბერი.

ამას წინად (იხ. „ივერიის“ № 229) ჩვენ გამოვსთქვით ის აზრი, რომ ყოველ ჩვენის გაჭირვების მიზეზი უფულობაა; ყველაფერი გვაქვს გარდა ფულისა და ამ უფულობისა გამო ძალაუნებურად წლიურს ჭირნახულს დამპალ ვაშლის ფასადა ვყიდით.

ამასთანავე მივაქციეთ ყურადღება სასოფლო-მეურნეობის ბანკს, რომელსაც საკმაო დასატრიალებელის თანხის უქონლობისა გამო არ შეუძლიან დააკმაყოფილოს საქართველოს გაჭირვებული მეურნეები.

ტფილისის გუბერნიის მცხოვრებელთა რიცხვი 700,000 აღემატება და ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ბანკის დასატრიალებელი თანხა შეადგენს მხოლოდ 87,000 მანეთს. მართალია, ჩვენი ბანკი ტფილისის სხვა-და სხვა ბანკის ფულითაც სარგებლობს, მაგრამ ამ სარგებლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ეს ფული სარგებლით გვეძლევა და ჩვენს ბანკს არაფერი არა რჩება; და თუ რჩება რამ, მხოლოდ იმდენი, რომ ბანკის გამგეობის ხარჯი დაიფაროს.

ამისათვის, როდესაც ჩვენი ბანკის ოპერაციებზედ ვლაპარაკობთ, ჩვენ უნდა ვიქონიოთ სახეში მხოლოდ მისი 87,000 დასატრიალებელი თანხა. გაანაწილეთ ეს მცირე თანხა 700,000 მცხოვრებელთა შორის და ყველა ნათლად დაინახავს, რომ თვითოეულს ჩვენთაგანს შეუძლიან გაიმართონ ხელი მხოლოდ 70 კაპეიკით. თუ იმასაც არ დავივიწყებთ, რომ ჩვენის ბანკის ოპერაციები თითქმის მხოლოდ მოქალაქეთა შორის ვრცელდება, მაშინ ყველა დაგვეთანხმება, რომ დღევანდელი სასოფლო-სამეურნეო ბანკი თავისს დანიშნულებას ვერ ასრულებს და მერმისშიაც ვერ აასრულებს, თუ საკუთარი საკმაო დასატრიალებელი თანხა ვერ იშოვნა.

საზღვარ-გარედ, მაგალითებრ გერმანიასა და საფრანგეთში, სამეურნეო ბანკებს იმოდენა დასატრიალებელი თანხა აქვსთ, რომ თვითოეულს მცხოვრებელს 8—15 მანეთი ხვდება; სწორედ ამისათვის საზღვარ-გარეთის მცხოვრებელი ისეთს გაჭირვებაში არ არის, როგორც ჩვენი სოფლის მეურნე, რადგანაც იმასა აქვს ღონის-ძიება იაფი სესხით ხელი გაიმართოს და ურიის ვალში არ ჩავარდეს.

როგორც 1901 წლის ანგარიშიდამ სჩანს, ჩვენს სამეურნეო ბანკს შარშან წმინდა მოგება დარჩენია 8,719 მან., ესე იგი, 87,000 მანეთის დასატრიალებელს თანხას მოუტანია 8,719 მანეთი წმინდა მოგება, რაიცა ამტკიცებს, რომ წლიური მოგება ყოველ მანეთზე 10 კაპეიკია, ანუ 10%.

როდესაც ამისთანა მცირე თანხას ასეთი უხვი წმინდა მოგება აქვს, რა თქმა უნდა, რომ, რა-კი ჩვენი ბანკის დასატრიალებელი თანხა ერთი ათად გარდაიქცევა, მაშინ წმინდა მოგებაც ერთი ათად იმატებს და 8,719 მანეთის მაგივრად წლიური წმინდა მოგება იქნება 87,190 მანეთი.

სწორედ ამ ნათელს და უეჭველს ანგარიშზე დავამყარეთ ის ჩვენი აზრი, რომ მთავრობას შეუძლიან უშიშრად მოგვეშველოს და უსარგებლოდ გვასესხოს 10—15 წლის ვადით. ჩვენს ბანკს რომ მიეცეს ერთი მილიონი მანეთი 15 წლის ვადით, წმინდა წლიური მოგება გვექნება—100,000 მანეთი. რადგანაც სხვა ბანკები, რომელთაც თვისი საკუთარი საკმაო დასატრიალებელი თანხა აქვსთ, წლიურს სარგებელს იღებენ 7—9% ამისათვის ჩვენმა ბანკმაც უნდა დაუკლოს სარგებელი, რათა გაუწიოს მეტოქეობა.

წლიური სარგებელი 8% რომ დავნიშნოთ და ერთი პროცენტიც ბანკის მმართველობისთვის გადავსდოთ, მაშინ ერთი მილიონი თანხა შემოიტანს წმინდა სარგებელს 800,000 მანეთს. მაშასადამე, ერთი მილიონის სესხის გარდაწყვეტა ჩვენს ბანკს შეუძლიან თორმე-

ტის წლის განმავლობაში, რადგანაც თავისი დღევანდელი თანხაც მიეშველება. რა თქმა უნდა, რომ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ბანკი სრულებით ფერს იცვლის და აასრულებს თავისს საკუთარს დანიშნულებას, ესე იგი მიეშველება სოფლის მეურნეებს.

როგორ უნდა მიეშველოს? სოფლის მიშველების აუცილებელი პირობა ის არის, რომ ბანკის წარმომადგენელი იქვე იყოს, სადაც სოფლის მეურნე სცხოვრობს. ამისათვის ჩვენს ბანკს დასჭირდება განყოფილების დაარსება ქართლ-კახეთის მაზრის ქალაქებში და ყოველს დიდრონს სავაჭრო სოფლებში.

მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ბანკი ადგილობრივ მიეშველება გაჭირვებულს სოფლის მეურნეს, დღევანდელი ბანკი სავსებით აღასრულებს თავისს დანიშნულებას და დღეს-კი, ჩვენდა სამწუხაროდ, მისი ოპერაციები ვერაფერს ვერა შველის იმას, ვისთვისაც არსებობს. მთელის წარსულის წლის განმავლობაში სასოფლო ქირნახულზე გაუსესხებიათ მხოლოდ 713 მან. და 36 კაპ. და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, სასოფლო მეურნეობის ქირნახულს ნახევარ მილიონი სესხიც არ დააკმაყოფილებდა.

ყოველივე ეს მართალია და აუცილებელი აღსასრულებელია, მაგრამ ვინ ითავებს ამ ერთის მილიონის მთავრობისაგან გამოთხოვნას და, თუ მთავრობა ინებებს ამ თანხის ბოძებას, ვის უფრო ენდობა ამ შემთხვევაში.

ამაზე მერმე მოვილაპარაკებთ.

ტფილისი

◆ მოგვივიდა შრომა მღვდლის მიქელ თამარაშვილისა—„ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილ საბუთების შემოტანით და განმარტებით XIII საუკუნიდგან XX საუკუნემდე“. წიგნი არის დიდის ტანისა, შეიცავს 860 კაბადონს და ფრიად სუფთად გამოცემულია. წიგნში ჩართულია ავქსონის სურათიც. ეს ძვირფასი და შესანიშნავი გამოცემა ღირს ძალიან იაფად, სულ ორ მანათად. წიგნის შინაარსს ჩვენს მკითხველებს გავაცნობთ მალე; აქ კი ვიტყვით, რომ ეს წიგნი ჩაითვლება დიდ საუნჯედ ქართველთა ისტორიისა და მწიგნობრობისათვის.

თვით თამარაშვილი ჯერ ისევ ახალგაზდა კაცია და მღვდლობს რომში.

◆ დღეს, 3 ნოემბერს, მოდიან ყარსს, რათა მონაწილეობა მიიღონ ყარსის აღების 25 წლის შესრულების გამო დღესასწაულში ერთი შტაბ-ოფიცერი, ერთი ობერ-ოფიცერი და ერთი დაბალი ჯარის-კაცი იმ ჯარებიდან, რომელნიც ამ 25 წლის წინად ყარსის აღებაში მონაწილეობას იღებდნენ.

◆ ჩვენ მივიღეთ დაბეჭდილი ანგარიში ზნეობის გამასწორებელ ახალშენებისა კავკასიაში და თავ-შესაფართა საზოგადოების მოქმედებისა 1901 წლის განმავლობაში. ამ ანგარიშის შინაარსს ცალკე გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

◆ დღეს, 3 ნოემბერს, ქართული დრამატიული დასი გამართავს იაფ-ფასიან წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება ოთხ მოქმედებიანი დრამა „მეორედ გაყმაწვილება“. წარმოდგენა დაიწყება დილის 12 საათზედ.

◆ ბ-ნი ხატისოვი და ბრაილოვსკი ვერ მორიგდნენ ქალაქის გამგეობასთან სოლოლაკის მთაში გვირაბის გაყვანის გამო; 29 ოქტომბერს მათ გარდაწყვეტით განუცხადეს, რომ თუ ქალაქი გვირაბში რკინის გზის გაყვანის ნებას არ მოგვცემს, ყოველივე მოლაპარაკება ჩვენთან მომეტებული იქნებაო; ქალაქის გამგეობისაგან ამ საქმის თაობაზედ საგანგებოდ დანიშნულ კომისიას განუზრახავს შესცვალოს ზოგიერთი პირობა იმ ხელშეკრულობისა, რომელიც წარედგინათ სოლოლაკის მთაში გვირაბის გამყვანთ-კონცესიონერებს ბ-ნთ ხატისოვს და ბრაილოვსკის; ამის გამო კომისიას გარდუწყვეტია თავის კრებაზედ მიიწვიოს უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი ინჟინერი რაგოლერი, შეიტყოს მისი აზრი, აქვს რამე საწინააღმდეგო ამ საქმეში თუ არა. კომისიამვე უნდა შეიტყოს, რამდენად ნამდვილია აზრი იმ წევრთა, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ქალაქის ქუჩებზედ რკინის გზების გაყვანის უფლება მხოლოდ უსახელო საზოგადოებასა და ავჭალის რკინის გზის კონტრაგენტებს აქვთო, კომისიამვე უნდა გამოიკვლიოს, გათხრილი გვირაბიც ქუჩად უნდა ჩაითვალოს თუ არაო.

◆ აგერ ორი წელიწადია მას აქეთ, რაც ქალაქმა განიზრახა დიდის მთავრინის ოლგა თეოდორეს ასულის სახელობაზედ ძეგლი აეგო დედათა პირველ გიმნაზიის პირდაპირ გოლოვინის პროსპექტის მხრივ; ამ აზრით ქალაქის გამგეობამ მიმართა კავკასიაში უმაღლეს მთავრობას, ნება მიეცა ქალაქისთვის ხელის მოწერა გაემართა კავკასიაში, რადგანაც ქალაქის გამგეობის თხოვნაში არ იყო აღნუსხული არც ხარჯი ამ ძეგლისა და არც ის, თუ რამდენი დასჭირდება ქალაქის გამგეობას ხარჯის შესავსებლად, ამიტომ მისი თხოვნა მთავრობამ უკან დააბრუნა და დასძინა, შეგვატყობინეთ რამდენი დაჯდება ძეგლიო, რამდენი აქვს ქალაქს გადადებული ამ საგნისათვის, და რამდენი ფული შეგროვდება ხელის მოწერითაო; გამგეობის წევრმა, ბ-ნმა კოჩაევმა მოიწვია ცნობილი მექანდაკე ბ-ნი ხოდოროვიჩი და შეუდგა ძეგლის ანგარიშის გამოკვლევას; რა დამთავრდება ძეგლის ხარჯთაღრიცხვა, გამგეობა წარუდგენს ტფილისის გუბერნატორს და კავკასიის მთავარ-მართებელს განსახილველად. კოჩაევის ვარაუდით, ძეგლის ასაგებათ ქალაქს დასჭირდება 45—48 ათასამდე მანათი.

◆ ფრიად სასიამოვნო განკარგულება მოახდინა ტფილისის პოლიცმეისტერმა იმის შესახებ, რომ მეეზოვეებმა სახლების კარმიდამოს დავა-დაწმენდა დილის რვა საათამდინ გაათავონო. პოლიცმეისტერის ამისთანა განკარგულება-კი უფრო იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ სწორედ ამ დროს შეგირდები მიემგზავრებიან თავთავიანთ სასწავლებლებში სამეცადინოდ, მაგრამ ერთი რამ გარემოება გვაიძულებს აქ ვიკითხოთ: რა დროს უნდა დაჰგავონ და დაწმინდონ ტფილისის რკინის გზის კონტრაგენტებმა ლიანდაგები? ნუ თუ გზების დაწმენდა დილის რვა საათზედ უნდა დაიწყონ, როგორც ეს დაწესებულია ავჭალის რკინის გზის კონტრაგენტებისაგან.

—

სამეურნეო საზოგადოების კრება. პარასკევს, 1 ამა ნოემბერს, დანიშნული იყო ტფილისის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელსაც უნდა განეხილა სხვა მორიგ საგანთა შორის მოხსენება ბ-ნი სააკოვისა, სოკოლოვისა და ტიმოფეევისა კავკასიაში სამეურნეო სკოლათა დაარსების შესახებ. საზოგადოების წარსულ ერთ-ერთ კრებაზე, როგორც ეს მკითხველებს ეხსომებათ, ბ-ნმა ტიმოფეევმა წარუდგინა საზოგადოებას მოხსენება იმის შესახებ, რომ კავკასიაში არსებული სამეურნეო სასწავლებელნი ცუდათ არიან მოწესრიგებულნი, ვერა აქვსთ სასურველი ორგანიზაცია, ადგილობრივ მკვიდრს ეს სკოლები ვერავითარ დახმარებას ვერ უწევენ, და კიდევაც რომ ეს სკოლები რიგიანათ იყვეს მოწყობილი, მაშინაც შეუძლებელია ამ ჟამად მეტად ჩამოქვეითებული მეურნეობა განვითარების, პროგრესის გზას დაადგეს, რადგანაც მოხსენებული სკოლები დაბალის ტიპის სკოლებია და ამის გამო სხვა დანიშნულება აქვს. ამიტომ ბ-ნს ტიმოფეევს მეურნეობის უფრო მკვიდრ ნიადაგზე დასამყარებლად, აუცილებლივ საჭიროდ მიაჩნდა ჩვენს ქვეყანაში დაარსებულიყო უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი, საშუალო სარაიონო სამეურნეო სკოლები და პრაქტიკანტ-მუშათა სკოლები. ბ-ნ ტიმოფეევის ეს ფრიად საინტერესო მოხსენება საზოგადოების წევრებმა დიდის განსჯის შემდეგ გარდასცეს ზემო დასახელებულ სამს მცოდნე კაცს თავისს აზრის წარმოსადგენლად. კომისიამ თავისი აზრი ბ-ნ ტიმოფეევის მოხსენების შესახებ წარმოადგინა 1 ნოემბრის წევრთა მორიგ კრებაზე.

კრება დაიწყო საღამოს $8^1/_2$ საათზე უგანათლებულესის თ-დის პეტრე ალექსანდრის ძის გრუზინსკის თავმჯდომარეობით. სანამ კომისიის მოხსენების განხილვას შეუდგებოდნენ, საზოგადოების მდივანმა ე. იოსელიანმა წაიკითხა წინა კრების ოქმი, რომელიც შეუცვლელად დაამტკიცეს. ამის შემდეგ კომისიის წევრმა ბ-ნ ავეტიქ სააკოვმა წაუკითხა დამსწრე საზოგადოების წევრთ კომისიის მოკლე მოხსენება კავკასიაში სამეურნეო სასწავლებელთა დაარსების შესახებ. კომისიას, ბ-ნ სააკოვის სიტყვით, აუწონ-დაუწონია კავკასიაში აწინდელ მეურნეობის მდგომარეობის საქმე, მიუღია მხედველობაში ყველა ის საბუთები, რომელიც მოყვანილი აქვს ბ-ნ ტიმოფეევს თავისს ფრიად საყურადღებო მოხსენებაში, და ერთხმად დაუსკვნია, კავკასიაში მეურნეობის დასამკვიდრებლად საზოგადოებამ აღძრას სათანადო შუამდგომლობა: 1) დაუყონებლივ დაარსებულ იქმნას ტფილისში პოლიტეხნიკუმი სამთო და სამეურნეო განყოფილებით, 2) დაარსებულ იქმნას საშუალო სამეურნეო სარაიონო სკოლები, 3) დაარსებულ იქმნას პრაქტიკანტ მუშათა სკოლები, 4) გაუქმებულ იქმნას სამეურნეო საგნების სწავლება სასალხო სკოლებში და 5) სამოქალაქო და ნორმალურ ორ-კლასიან სკოლებში სამეურნეო განყოფილებანი არსებობდეს მხოლოდ იმ პირობით, რომ სწავლა სამეუნეო საგნებისა სწარმოებდეს ამ განყოფილებაში ადგილობრივ სპეციალისტთა ხელმძღვანელობით, ადგილობრივ ნასწავლ და გამოცდილ აგრანომების კონტროლით.

საზოგადოების საბჭოს კომისიის მოხსენებული აზრი სამეურნეო სკოლების ტიპების შეხახებ განუხილავს და კომისიის პირველი დასკვნა კავკასიაში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ სავსებით შეუწყნარებია. საშუალო სკოლების დაარსების შესახებაც ეთანხმება კომისიას საბჭო მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საბჭოს საჭიროდ მიაჩნია განსაზღვრულ იყოს, რომელ სამეურნეო რაიონში რომელი საშუალო სამეურნეო სკოლა იქმნას დაარსებული. პრაქტიკანტ მუშების სკოლაც საჭიროდ მიაჩნია საბჭოს, მხოლოდ ეს სკოლები, საბჭოს აზრით, უნდა არსებობდეს სახელმწიფო და საუფლისწულო სამაგალითო მამულებში და აგრედვე დაბალ სამეურნეო სასწავლებლებთან და არა კერძო მესაკუთრეთა მამულებში, როგორც ამას სხვათა შორის საჭიროდ სთვლის კომისია. აწინდელმა მდაბალმა სამეურნეო სასწავლებლებმა, საბჭოს აზრით, თავისი არსებობა არ უნდა მოსპონ, მხოლოდ სამეურნეო საგნების სწავლება ამ სკოლებში უფრო მკვიდრ და საფუძვლიან ნიადაგზე უნდა იქმნეს დამყარებული, სანამ ამ ჟამადაა.

კომისიის და საბჭოს მოხსენებულმა აზრმა ხანგრძლივი და ცხარე კამათი გამოიწვია. თავმჯდომარემ თ-დმა პეტრე ალექსანდრეს ძემ გრუზინსკიმ კამათი წარმართა ისე, რომ ორატორებს მსჯელობა თავდა-პირველად ჰქონდათ პოლიტეხნიკუმისა, შემდეგ საშუალო სარაიონო სკოლებისა და ბოლოს დაბალ ტიპის სკოლის შესახებ. ბ-ნი სიმონ ქვარიანი არ ეთანხმება კომისიის მოსაზრებას, რომ კავკასიაში დაარსებულ იქმნას ისეთი სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი, როგორიცაა პოლიტეხნიკუმი. ბ-ნ ს. ქვარიანის აზრით, პოლიტეხნიკუმში ნაკლები ყურადღება ექმნება მიქცეული სამეურნეო საგნებს და ამიტომ უფრო სასარგებლო იქმნება ჩვენის ქვეყნისათვის უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი დაარსდესო. ბ-ნი ივანე როსტომაშვილი უარს ჰყოფდა ბ-ნ ქვარიანის მოსაზრებას და საჭიროდ სთვლიდა პოლიტეხნიკუმის დაარსებას. საზოგადოების მდივანი იოსელიანი ამტკიცებდა, რომ ამ ჟამად მოუხერხებელია ვიშუამდგომლოთ უმაღლესის სასწავლებლის დაარსებისათვის, რადგანაც ამ გვარივე შუამდგომლობა ქალაქის თვითმმართველობისა უარ ყოფილ იქმნა ამ დღეებში სამინისტროს მიერ, ამიტომ, ბ-ნ იოსელიანის აზრით, საჭიროა საზოგადოებამ აღძრას მხოლოდ ისეთი შუამდგომლობა, რაიცა შესაძლოა სულ მოკლე ხანში განგვიხორციელონო.

მცირე კამათის შემდეგ, საზოგადოების თავმჯდომარემ კენჭი უყარა ასეთს წინადადებას, აღიძრეს ამ ჟამად შუამდგომლობა პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ, თუ არაო. საზოგადოებამ, წინააღმდეგ ორის ხმისა, დაადგინა: მიღებულ იქმნას კომისიის და საბჭოს აზრი პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ და აღიძრას სათანადო შუამდგომლობაო.

შემდეგ ამისა, თავმჯდომარეს წინადადებით, კენჭი უყარეს კომისიის და ცალკე საბჭოს აზრს საშუალო სამეურნეო სასწავლებლების დაარსების შესახებ. საზოგადოებამ ხმის უმეტესობით მიიღო კომისიის მოსაზრება. მიღებულ იქმნა ხმის უმეტესობით სკომისიის მოსაზრება პრაქტიკანტ-მუშების კოლეგბის დაარსების შესახებაც.

ხანგრძლივი და ცხარე კამათი გამოიწვია კომისიის მოხსენების იმ ნაწილმა, რომელიც სამეურნეო საგნების სწავლებას უარ-ჰყოფს სახალხო სკოლებში. უმეტესი ნაწილი ორატორებისა ამტკიცებდა, რომ მეურნეობის განდევნა სახალხო სკოლებიდან მოუხერხებელია და საქმესაც ავნებსო. ბ-ნ კირიმ-გირეის აზრით, სამეურნეო საგნების სწავლება სახალხო სკოლებში თვით პედაგოგიურის მოსაზრებით და პედაგოგებისაგანვე შემოღებული დასახელებულ სკოლებში. მრავალ ორატორთა შორის, რომელთაც ილაპარაკეს მოხსენებულ საგნის შესახებ, განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სიტყვის საქმიანობით და დასაბუთებულ არგუმენტაციით აგრონომმა ავ. სააკოვმა და ბ-ნმა პეტრე სურგულაძემ. ბ-ნი სააკოვი სტატისტიკურის ციფრების აღნუსხით ამტკიცებდა, რომ არსებულ სახალხო სკოლებს სამეურნეო განყოფილებით მავნებლობის მეტი არა მოაქვსრაო. ახალციხის სკოლაზე ექვსი თუ შვიდი წლის განმავლობაში 70,000 მანეთია დახარჯულიო და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი მეურნეობის ოდნავ მაინც მცოდნე შეგირდი სკოლას არ გამოუზრდიაო. ბ-ნი სააკოვი ბევრ კიდევ სხვა საგულისხმო მაგალითების მიხედვით აუცილებელ საჭიროებად სთვლიდა სახალხო სკოლა მხოლოდ სახალხო სკოლად დარჩენილიყო და ეს ზედ-მეტი ბარგი ჩამოშორებოდა.

ბ-ნი პეტრე სურგულაძეც იმავე აზრს ამტკიცებდა, ესე იგი რომ სახალხო სკოლას პირდაპირი თავისი დანიშნულება აქვს და ესეც საკმარისი იქმნება ამ დანიშნულებას პირნათლად გაუძღვესო. ბ-ნმა ორატორმა ისეთის მჭერმეტყველობით და ისე მკაფიოდ დაასურათა აწინდელ სახალხო სკოლის და სახალხო სკოლების მასწავლებლების უფერული და უნაყოფო მდგომარეობა, რომ ჩვენთვის ძნელია მისის მშვენიერის სიტყვის ვრცლად გადმოცემა, რადგან ვშიშობთ, რომ ამით ერთის მხრით ბ-ნ ორატორის სიტყვას ის ელფერი არ დაეკარგოს, რომლითაც იგი იყო წარმოთქმული, და მეორეს მხრივ, არ შევასუსტოთ სამეურნეო საზოგადოების წევრთა ის ძლიერი შთაბეჭდილება, რომელიც მათზე ბ-ნმა პეტრე სურგულაძის ლაპარაკმა მოახდინა

ხაკამათო საგანი, რადგან უკვე გვიან იყო გადადებულ იქმნა მომავალ სამშაბათის-თვის. კრება გათავდა საღამოს $12^1/_2$ საათზედ.

ჩვენებური ამბები

ქართლი. ჩვეიკალდოვეთ, ჩვეირთველდეთ. ჭინახულის მოსავალი, საზოგადოდ, ყოველგან კარგად იყო, ვერავინ დაემდურება. განსაკუთრებით-კი უფრო პური იმდენი მოვიდა, რომ დღეს საუკეთესო პური ფუთი ღირს 60—70 კაპ. იყიდება აგრეთვე 50—55 კაპეიკადაც, ქერი-კი 45 კაპ. ნაკლებია წელს სიმინდი, მეტადრე იქ, სადაც დართვილა და ნედლს მოასწრო. თქმა არ უნდა, დააზარალა ჭინახული იმ სოფლებში, სადაც ცოტა გვიან შემოდის ჭინახული; ატეხილმა წვიმებმა გაალდოვა და, ისედაც იაფობაში, ფასი დაუკარგა. რაც შეეხება ღვინის მოსავალს და ხილისას, წელს ქართლი ვერ დაიკვეხნის, ზოგან სრულიად მოისპო და ზოგან-კი, შედარებით, არა უშავდა-რა. აი მიზეზი ამისაც:

გაზაფხულზედ უცებ ისე დათბა, რომ ვაზი და ხილი გამოიტყუილა, მერე უცებ აცივდა და წაახდინა. გარდა ამისა, მოვიდა სეტყვა, რთვილი დაზარალდნენ უფრო შემდეგი სოფლები: დგანი (აქაური ხალხი არ ეწყობა ვენახის წამლვას გარდა ამისა, ვაზებს აქ მარხვენ და, რომელიც-კი ბელტით იყო თხილად დამარხული, გაზაფხულის სითბოებმა გამოიტყუა და წახდა); ერედვი (აქაც არ ეწყობიან წამლვას, ვაზი არ იმარხება), დიცი, ქურთა, თამარაშენი, არბო და სხვა მრავალი. ასე რომ, მართალია, პური ბლომად მოვიდა, მაგრამ ღვინისა და სიმინდის ნაკლებობა იმდენად შესამ-

ფელეტონი

ცხელ-ცხელი სიმართლე.

„ვისიც გავა გავაო, კანჭიც გავად გავაო“. იციან იმერეთში და მართლაც ზოგის შავი თეთრად გადის და ზოგის თეთრიც შავია. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „ზოგის ბამბაც-კი ჩხრიალებს და ზოგის კაკალიც არაო“. ყველა ერთ ვარსკვლავზე არ იბადება. ზოგს ქუდ-ბედი დაჰყვება და ზოგსაც—წყევლა-კრულვა. ჩემი ბედიც ბამბა-ჩხრიალაა: თორმეტი წლის ვიყავ, პირველი ლექსი „კანდელი“ რომ დავსწერე და იმ დღიდან კალმისთვის ხელი არ შემიშვია, მაგრამ ვერც ერთხელ მისთანა ვერა დამიწერია-რა, რომ ზოგიერთებს არ სწყენოდეთ და არ გამრისხებოდნენ. მართალია მომწონებელიც ბევრი მყოლია, მაგრამ რა გამოვიდა? ასისა და ათასის მოწონება იმდენ სარგებელს ვერ მოიტანს, რამდენსაც ერთისა და ორის წყენა და უსიამოვნობა—ვნებას. ვისაც მოსწონს, კმაყოფილია და თავისს კმაყოფილებას მხოლოდ მითი აბოლოებს, რომ იტყვის: კარგიაო! მორჩა და გათავდა!.. თითქმის პირ-იქით კიდევაც ამადლის ავტორს თავისს მოწონებას... მაგრამ გაჯავრებული წუნის მდებელი-კი სულ სხვაა. იმას შურითა და მტრობით ევსება გული და, არა თუ სიტყვით, საქმითაც-კი იმეტებს, იმ ავტორს, რომელსაც სრულიად მისთვის არა დაუშავებია-რა! ჰყეფს და ჰკბენს სადაც-კი დაიხელებს. და ყეფაც ხომ გადამდები სენია: ერთი ძაღლი რომ დაიყეფს, მაშინ მთელი სოფლის ძაღლებიც ასტყდებიან ხოლმე წამხედურობით და მიაქვთ ყურთა-სმენა. სწორედ ამგვარივე გადამდები სენია სოფლის მითქმა-მოთქმაც. არც მიზეზს დაგიდევს და არც სიმართლეს... დიახ, მოწონება პლატონიურია და დაწუნება-კი რეალური და ამიტომაც ნამდვილი, გულ-უბრყვილო, მწერლობა საწამებლად თავის დადებაა ამ ჩვენ ქვეყანაში. ღმერთო ჩემო! რა არ გადამხედია ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში?! რამდენი უსამართლო მტრობა, ცილის-წამება, შეურაცხყოფა და განსაცდელი დამდგომია, მაგრამ ღვთის მადლითვე, ამიტანია იმ საარაკო ყბად აღებულ ფეიქრისა არ იყოს. იყო თურმე ერთი ბედკრული ფეიქარი, რომლის ნაქსოვი ყველას მოსწონდა, ყველა ეტანებოდა მის ნახელავ დარაიებს, მაგრამ თვით მუშა-კი ერთხელვე ყბად იყო აღებული და კარგად არავინ იხსენიებდა. რაც უნდა საარაკო რამ მოექსოვა მაინც წუნსა სდებდნენ, მაგრამ როცა მისი ნალვაწი სხვების ხელში გადავიდოდა და ცოტა კიდეც შეილახებოდა, და ველარ იცნობდნენ, იმ ყბადაღებულ ფეიქრის ნახელავად, მაშინ-კი იწონებდნენ, რადგანაც სხვისი ეგონათ და განგაშებდნენ: სად იმ ფეიქრის ნახელავი და სად ამა და ამისაო?.. ის უბედურები ვერ ატყობდნენ, რომ ის დარია იმავე ფეიქრის ნახელავი იყო, მაგრამ სხვების ხელში გაფუჭებული. შური და უსამართლობა აბრმავებდათ!.. ათასში ერთხელ წასცდებოდათ ხოლმე ქებაც, როცა მეტი გზა აღარ იყო, მაგრამ, ვაი მისთანა ქებას!.. ის ქება ძაგებაზე უარესიც იყო ხოლმე. ხედავდა ამას ყველას საბრალო მუშა და ჰფიქრობდა: ღმერთო ჩემო, ნუ თუ აღარ ექნება ამ უსამართლობას დასასრულიო? ხანდახან იტყოდა ხოლმე: რისთვის ვიმწარებ წუთი-სოფელს იქ, სადაც ჩემ ხელობას და შრომას გასავალი არა აქვს და ჩემთვის სიღარიბისა და ტანჯვის მეტი არა მოუტანია-რაო? ვშლი საფეიქროსო და შეაჩერებდა ხოლმე მუშაობას. მაგრამ განა ვინც უყვარს ადამიანს, რაც უნდა მწუხარებაში იყოს მის გამოისობით, ადვილად დაანებებს თავს? დედა-შვილს გაურისხდება მისგან. გულნატკენი, დასწყევლის, მაგრამ ისევ მაინც დაუბრუნდება და ამიტომაც არის ნათქვამი: „დედა რომ შვილს სწყევლის, ენა ეხმარება და ძუძუები-კი უარს ამბობენო!“ ასე ემართებოდა ფეიქარსაც, მაგრამ სხვებს არ ესმოდათ ეს, პირ-იქით დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს სიტყვის გატეხა, იმ ფეიქარს უპირობისა და უხასიათობის გამო მოსდისო და აყრიდნენ კიცხვას: მაგისი სიტყვა რა დასაჯერებელია, ჩვენ ჩვენსას ნუ მოვიშლით მაგის შესახებ და მაგას მაინც გული არ გაუძლებს, რომ არ მოუბრუნდეს საფეიქროსო. და მართლაც საწყალ ფეიქარს, გულის წყრომის დროს, რაღაც უცნაური ძალა უშლიდა ხელს, რომ წამიერი განძრახვა მოეყვანა სისრულეში: ვიღაცასი უცნაური ხმა ჩასჩურჩულებდა ყურში: აიტანე! აიტანე ეგ განსაცდელი და, რაც შენი წილხვედრია, გინდ შარბათის წილ ნაღველიც იყოს, შესვიო. და ისიც ისევ ხელ-ახლა გააგდებდა და გამოაგდებდა ხოლმე მაქოს სიმღერით.

მაქო, მაქო, ჩემო მაქო!
მე რა გიყო, სხვამ არ გაქო!
მაგრამ შენი სიავკარგე
შენვე გაგაქ-გამოგაქო.

ამ სიმღერაში ივიწყებდა სხვების უსამართლობას და უსასყიდლო შრომას გულს აყოლებდა. რაღა მისი ფეიქრობა და რაღა ჩემი მწერლობა. სარკეა ერთი მეორის. მეც ბევრჯელ ერთ რედაქციაში რომ ველარ ამიტანია ჭირვეულობა, მეორეში გადავსულვარ, მერე, აქაც რომ გამჭირვებია საქმე, ისევ პირველს მივბრუნებივარ და ეს საბუთად დაუჭერიათ ხელში ჩემ მოკეთეებს, რადგანაც ისინი არა თუ დედის გრძნობას შვილისადმი, უბრალო სოფლის დედაბრის ქცევასაც ვერ შესწვდენიან. ქათამს რომ საბუდარში აღარ ჩაუშვებენ და აუქშიანებენ, ის სხვა საბუდარს გამოსძებნის და კვერცხს კი მაინც სადმე ჩადებს! მართალია, რედაქციიდან რედაქციაში გადავსულგადმოვსულვარ მეც, მაგრამ მწერლობაზე-კი ხელი არ ამიღია ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში, რადგანაც მეც საიდუმლო ხმა მიჩურჩულებდა ყურში, რომ შენს მოვალეობაზე ხელს ნუ აიღებ, ნუ აჰყვები მტრებსო! ის საიდუმლო ხმა იყო რჩევა ჩემი მეგობრების და ის მეგობრებიც—ქალები.

ნუ იღრიჭები უზნეურობავ და უგუნურებავ! შენც შეიგნე წმინდის გულით, რომ ქალის უბიწო თანაგრძნობა ელექტრონის ძალაა მამაკაცისათვის კეთილ მისწრაფების დროს!.. და მეც მათი თანაგრძნობა მამხნევებდა!!. ერთ მათგანს ამ დღეებში შევხვდი და რომ ვუთხარი: „ახლა-კი დავანებებ თავს კაკანსაც და სხვების საბუდრებსაც, ვეპირები განშორებას მეთქი“, გაიცა და მიპასუხა: რას ამბობ? აღარ გახსოვს ადრინდელი? განა მაგისთანა რამეები აგიტანია, რომ დღეს გაურბიო?... დაივიწყდა, რომ დრო თავისას თხოულობს! ზაფხულის ფოთოლს ქარიშხალიც ვერ მოსწყვეტს, მაგრამ შემოდგომისას-კი სულ უმნიშვნელო სიოც-კი ჩამოაგდებს. თუ აქამდის გითმენია, ახლა რაღა არისო—მეკითხებოდა. საწყაული ნელ-ნელა ივსება, და როცა პირამდე აივსება, მაშინ ერთი წვეთიც რომ მიემატოს გადმოდინდება. კაცის გულიც იგივე საწყაულია. მეც მეყო ამდენი. დროა აწ მეც გავდგე განზედა როგორც მოხუცი ზამთარში ბუხრის პირად მოუთხრობს ხოლმე შვილიშვილებს თავისს თავგადასავალს, მეც ისე გავიხსენო ჩემი თავგადასავალიც. დღეიდგან შევუდგები მის გამოცემას. ის იქნება სარკე ჩვენი სიავ-კარგის ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში, სადაც ბევრი თე-

178

ჩნევია, რომ მოუსავლიან წელიწადად უნდა ჩავთვალოთ წრევანდელი წელიწადი, თუ, მეტადრე, მხედველობაში მივიღებთ იმ ფასებს, რა ფასებიც წელს პურს აქვს.

აქ საჭიროდა ვსთვლი ვიანგარიშო, რა უჯდება მუშას დღიურის შემუშავება, რომ ნათლად გავითვალისწინოთ, თუ, რის მოვაგდახვა მხვნელ-მთესველი.

ერთი ალო ანეულისა (რვა უღელი ხარი აბია), ღირს ოთხი მანეთი ამისი გათშვა (ხნულის ხელმეორედ მოხვნა ორხელით, რომელშიაც აბია არა ნაკლებ ოთხ-ხუთი უღელისა). ანეულის დღიურს უნდება ორხელი ორი დღე. ორხელი ღირს არა ნაკლებ რვა აბაზისა. დათვარცხვა, სულ ცოტა, ღირს შვიდი აბაზი, თესლი დღიურს ორი კოდი უნდება, ექვსი მანეთისა. დღიურის მომკა ღირს სულ ცოტა, შვიდი-რვა მანეთი, ორჯერ მოხვნა, დათვარცხვა, მომკა, მოტანა, გალეწვა, ყველა ამის ჯამა-სმა, სულ ცოტა, ღირს მანეთ-ნახევარი მაინც.

ერთი დღიური ორთა-შუა რომ ვიანგარიშოთ, სამი თუმანი ჯდება. რაც უნდა მოსავალი იყოს, დღიურზე უნდა ვიანგარიშოთ ათი კოდი; აქედან უნდა მიეცეს ღალა მამულის პატრონს, ზოგს მოსავლის ნახევარი, ზოგს—მესამედი და იშვიათად—მეოთხედი. ასე დაძვირდა ჩვენსკენ მამული.

ვსთქვათ, მიწა იხვნება სანახევროდ, დღიურიდამ გამოვიდა ათი კოდი, ნახევარი მიეცა მამულის პატრონს და გლეხს დარჩა ხუთი კოდი. ამ ხუთი კოდიდანაც კიდევ ორი ჩანახი თუ ნახევარი კოდი სამეველო უნდა მისცეს; ნუ ვიანგარიშებთ—ნურც სამწყემსურს, ნურც მღვდლის დრამას, დიაკვნისას. რჩება საცოდავს მუშას რაღაც ოთხი კოდი, რომელიც უჯდება მას სამი თუმანი. დიახ, ბეჩავს მუშას ერთი-სამად და ოთხად იმაზედ მეტად უჯდება კოდი პური, როგორც ფასობს დღეს.

ამ ერთის თვის წინად ძალიან გახშირდა ქურდობა აქეთ და უფრო-კი ცხინვალის საბოქაულოში. იპარავდნენ საქონელს ბოსლებიდან, ბაკებიდან. აი სხვათა შორის, ერთი კვირის განმავლობაში რამდენი ქურდობა მოჰხდა: ერედვში მოჰპარეს ერთს გლეხს უღელი ხარი, მაგრამ რადგან მიზეზის გამო, ხარები უღელ-დადგმულნი უკან მივიდნენ პატრონებისას. არ გავიდა სამი დღე, რომ აქაურსავე გლეხს მოჰპარეს ბაკიდან ერთი ხარი. გავიდა სამი დღე ამის შემდეგ და თ. ზ. ფავ—ლის ბოსლიდან გაირეკეს უღელი ხარი და ერთი ძროხა. ცალი ხარი რქებზე თოკ-მობმული ისევ მოვარდა სახლში და ხარი და ძროხა-კი წაუსხათ. რასაკვირველია, საქონლის პატრონი გაქანდა თავის ბიჭებით ბელოთისაკენ გამოსაცხადებლად და გზების შესაკვრელად სტრაჟნიკებთან. მართლაც, ბიჭებმა იპოვეს კვალი, რომელსაც მიჰყვნენ და სოფელს დმენისის (პატარა ლიახვის ხეობაშია ყველა აქ დასახელებული სოფლები). თავზე არის ერთს ციცაბო კლდეზე ეკლესია, ესრედ წოდებული „მაცხოვარი“, აი, ამ ეკლესიის იქითა პირზე ტყეში დაებათ ძროხა და ხარი თოკებით. თქმა არ უნდა, გასთენებიათ ქურდებს და, რომ არავის წაეწყდეთო, დაუბამთ ნაპარევი საქონელი. აგრეთვე იპოვნეს ამავე ხანებში სოფ. გარეჯვარში მცხოვრებლის ერთის აზნაურიშვილის უღელი ხარი და ერთი ძროხა და შეიპყრეს მათი მპარავი. ქურდი ოსია. ესეც შემთხვევით, თორემ თუ ეს დღე გადასცდენოდა, წასული იყო საქონელი.

მაინც, რადგან არა ჩვეულებრივი სახიფათო წელიწადი იყო წრევანდელი წელიწადი. ერთი დღე მადლიანი არ გვინახავს, რადგან უგემური, ჭინჭყლიანი: სეტყვა, გამუდმებული წვიმები, სიცივე, ნიაღვრები, ცეცხლი, ჩხუბი, დავი-დარაბა სულ წელს დაგვ'ტეუდა თავს. რაც შეეხება ადამიანთა ყოფა-ცხოვრებას, მოძრაობა-მოქმედებას, არც ეს იყო სანუგეშო. ვრცელი ისტორიაა მისი სავსებით აღწერა და მეტად შორსაც წაგვიყვანს, ამიტომ მოკლედ ვიტყვი, რაც უფრო საყურადღებოა.

„ვერტუშკა“ ლოტო, ნარდი, სმა, ლოთობა, ენა-ტანიობა, ჭორები, აი, დღე მუდამი საზრდოსაზომი სულისა, გულისა და გონებისა, მეტადრე ცხინვალის საზოგადოებისა. მართალია არ ეშპაშნიკებათ ცხინვალელ ხვლიკებს, ჭაობის შხამიან ბაყაყებს, ჩვენი მართალი სიტყვა, გაწიწმატდებიან კიდეც, მაგრამ ჩვენ წითელის კვერცხის გორება არ ვიცით, რომ ვაამოთ ბრმებს და თვალ-ხილულებს. გადაიწვერებოდა მზე თუ არა ამ ზაფხულს, გამოიშლებოდა ქალი და კაცი, დიდი და პატარა შესანიშნავს ცხინვალის ხიდზე. შესანიშნავი ეს ხიდი იმითი გახლავთ, რომ ეს ორი წელიწადია, რაც ერთ ტანჯვა-ვაებაშია საბრალო! მართლაც, რომ ნახოთ, შეგებრალებათ, ხელის გულის ოდენა ადგილს ვერ ნახავთ, რომ დაკერებულ-დაბრასტნილი არ იყოს. ისეა მიკერებულ-მოკონკილ-მოკერებული, რო თქვენდა უნებურად მოგაგონებთ ფროშარის იუბკას (ორ ობოლში). აქ, ამ—„ფროშარის იუბკაზე“ რომ მოსწყენდებოდათ ფრანტუნი-ჭორიკანობა ჩვენს ქალბატონებს, ჩავიდოდნენ ლიახვის პირად და „კოშკა-მიშკას“ თამაშობდნენ ხოლმე. არ ივიწყებდნენ ნაციონალურს თამაშობას „უზუნდარას“, ლეკურს და სხვას. ეს იმიტომ, ბატონებო, რომ მეტად იღლებოდნენ საზოგადო საქმით და, რა-კი სხვა გასართობი არა იყო-რა, ზემოდ დასახელებულის თამაშობებით ირთობდნენ თავს. მართალია, იყო აქ ორი წარმოდგენა, ორივე ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ, რაგვარად ჩაიარა წარმოდგენამ, ეს უკვე იყო გამოთქმული „ივერიის“ ფურცელზედაც და „ცნობის ფურცელში“-აც.

არა გვგონია, რომ ოდესმე ცხინვალელებს ედიროსთ რამე, კ. ი. ბიბლიოთეკა, სამკითხველო. როდესაც იყო, ვერ უპატრონეს, გაისტუმრეს წაიღსა შინა აბრაამისასა თავიანთის გულ-გრილობით, ეხლა რაღა იქნება! ან-კი რა იქნება და რა გაკეთდება იქ, სადაც „ვერტუშკა“ ლოტო და ნარდია გაღმერთებული და გამეფებული? ნეტა სად ბრძანდებოდნენ აქაური ვაჟბატონ-ქალბატონები, როდესაც განადებულ საქმეს სული ხდებოდა?!.. განა სამიკიტნოების მონა, ბახუსის ყმა გააკეთებს რასმე, ან გაუკეთებია რამე?!?... აი ერთი სანაქებო საქციელიც ცხინვალელ იმ ქალბატონ-ვაჟბატონებისა, რომელნიც თავიანთს თავს ინტელიგენტებად სთვლიან ესენი არა ერთხელ დამტკბარან ჩვენის ნიჭიერის დრამატურგის ა. ცაგარლის პიესების ხილვით და არა ერთხელ აუკრეფიათ ფული ამა თუ იმ საქმისთვის მისის პიესების წყალობით; ახლა ვკითხოთ, რითი აღნიშნა ცხინვალის ინტელიგენციამ ამ ძვირფასი კაცის დაკარგვა? ჯერ არაფრით, სრულიად არაფრით!.

დიაღ, განვლო ზაფხულმა, წავიდ-წამოვიდა ცოტა მოძრავი ხალხი, დარჩნენ ისევ ძველები, აგრილდა, ხალხი შინ შეიკრიბა შეიკეტა კარები და დადგა ჟამი, „ვერტუშკა“ ლოტო, ნარდისა...

გამოცანა.

კავკასია

განზრახვა აქვთ ბაქოს დაბალი სატეხნიკო სასწავლებელი საშუალო სამექანიკო-საამშენებლო სასწავლებლად გადააკეთონ.

—

ქ. ბაქოში ამ დღეებში დაიწყება სტენოგრაფიის კურსებზე სწავლა. კურსების გამგე ბ-ნი ი. ლ. პრესმანია. სტენოგრაფიის კურსები კავკასიაში სხვაგან არსად არ არსებობს.

რუსეთი

—შაბათს, 12 ამთვეს, მოსკოვის პოლიტეხნიკურ მუზეუმის დარბაზში მოხდა ეტნოგრაფიულ-ანტროპოლოგიურ საზოგადოების კრება პროფესსორ ვ. თ. მილლერის თავმჯდომარეობით.

სხდომა გაიხსნა ბ- ნასეკინის მოხსენებით კორეიცების შესახებ, რომელნიც კორეიდგან წამოსულან და რუსეთის უსსურესიის ოლქში დასახლებულან. შემდეგ თავისი მოხსენება წაიკითხა ჩვენმა თანამემამულემ დ. ი. არაყიშვილმა.

ბ. არაყიშვილს 120 ვოკალური სიმღერა და 30 მუსიკალური ხმა ჩაუწერია ფონოგრაფის საშუალებითა. ბ. არაყიშვილმა ფონოგრაფის საშუალებით საზოგადოებას მოასმენინა ჩვენებური სიმღერები. მერმე ეკრანზედ ფარნის საშუალებით აჩვენა ქართველთა ტომის ტიპები: ქართლელები, კახელები, ფშავ-ხევსურნი, მეგრელები და გურულები. თავმჯდომარემ დიდი მადლობა გამოუცხადა ბ. არაყიშვილს და საზოგადოებამ დააჯილდოვა ბ. არაყიშვილი ვაშას ძახილით და ტაშის ცემით.

ამას წინად მოსკოვის დიდძალი საზოგადოება დაესწრო ჩვენი თანამემამულეს თ. ი. სუმბათიშვილის საპატივსაცემო დღესასწაულს. მას შეუსრულდა 20 წლის სამსახური რუსის სცენაზე. აქაური ქართველებიც არ ჩამორჩნენ და მონაწილეობა მიიღეს დღესასწაულში და მიართვეს ძვირფას ჩარჩოში ჩასმული სურათი შოთა რუსთაველისა.

მოსკოვის ქართველი ახალგაზდობა სუმბათიშვილის თაოსნობით და ხელმძღვანელობით დიდს მზადებაში არის ქართულ საღამოს მოსაწყობად.

ს. კვალიაშვილი.

უცხოეთი

ოსმალეთი. „Bevue d' Orient“-ში დაბეჭდილია პირი იმ საჩივრისა, რომელიც ბუქარესტის „მართლ-მადიდებელ ალბანელთა ლიგას“ მიურთმევია მსოფლიო პატრიარქისათვის. საჩივარში სწერია:

„ბერძენთა სამღვდელოება ალბანიაში (ეპირში) სრულიად მოურიდებლად საქვეყნოდ აძაგებს და ჰგმობს ჩვენს სამღვდელ-მოქმედო ენას—საზიზღარია იგი და რყვნის ღვთისმსახურების სიწმინდესაო. ასეთ შეუწყნარებელ მაგალითს აძლევს დანარჩენ სამღვდელოებას თვით მიტროპოლიტი, რომელიც გვიკრძალავს ჩვენს დედა-ენაზე წირვა-ლოცვასა და ჰგმობს თვით მლოცველთაც. იმდენად სდევნიან ჩვენს ენას, რომ კორიცის მიტროპოლიტმა ერთჯერ ნაწირვევს საკრებულო ტაძარში ქადაგება წარმოსთქვა და ანათემით შეაჩვენა იმ ალბანელთა ოჯახები, რომელნიც თავიანთ შვილებს აბარებენ ალბანელების სკოლებში, სადაც, სხვათა შორის დედა-ენასა და ისტორიასაც სწავლობენ იგინი. მღვდელ-მთავრის ანათემამ მეტად ააღელვა და გააბრაზა მართლ-მადიდებელ ალბანელთა სამღვდელოება, რომლის სახელითაც ვბედავთ მოგმართოთ, თქვენო მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობავ, შემდეგის კითხვებით: რომელ მართლ-მადიდებელ კანონიან წიგნში სწერია, რომ დედა-ენაზე უფლის დიდება და ლოცვა მისდამი ღვთის გმობა და უწმინდურობააო? რომელი ეკკლესია აძლევს მწყემს ნებას შეაჩვენოს თავისი ერთმორწმუნენი მხოლოდ იმისათვის, რომ იგინი ღმერთს ადიდებენ მისათვის (მწყემსისათვის) გაუგებარს ენაზე, არა ბერძნულ ლოცვანებით, არამედ თავის დედათა ენით? რომელმა ცივილიზაციამ, რომელმა პროგრესმა სცნო საჭიროდ, აღუკრძალოს მცირე-წლოვან ბავშვებს სკოლაში დედა-ენა და აზეპირებიოს მათ გაკვეთილები სრულიად უცხოსა და გაუგებარს ენაზე? განა ყოველივე ეს ბარბაროსული ძალმომრეობა არაა, რომელსაც ჩვენ ოსმალთაგანაც არ ვითმენდით? გავკადნიერდებით და მოვახსენებთ თქვენს ყოვლად მაღალ-უსამღვდელოესობას, რომ ალბანიამ დიდი ხანია დააღწია თავი მონობას უკვე გამქრალისა და განქარწყლებულის ბიზანტიის იმპერიისა, რომელმაც, მოგეხსენებათ, სწორედ მით დაიღუპა თავი, რომ შეუწყნარებელის ფანატიზმითა და უსასტიკესის ღონის-ძიებით სდევნიდა სხვა-და-სხვა ეროვნების ქვეშევრდომ ქრისტიანეთა .. გარდა ამისა, ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ალბანია ჯერ კიდევ არ გამხდარა საბერძნეთის სამეფოს სამფლობელოდ და, მაშასადამე, რათ მიგიმართნიათ ისეთ საშუალებისათვის, ვითომც ჩვენი გადაგვარება-გადაჯიშება და მალე გაბერძნება გეწადოსთ, თუმცა, უნდა გამოვტყდეთ, ამ გვარი საშუალება სრულიად წინააღმდეგს სამსახურს უწევს ყოველს მთავროპას. მადლობა ღმერთს, ჩვენ ჯერ კიდევ გვიფარავს ძლიერი კალთა ხონთქრისა, რომელსაც აზრადაც არ გაუტარებია ჩვენის ერისა და ენის დაგმობა! რადგან ყოვლად მოწყალე უფალმან გვარგუნა მწყსობა და პატრონობა ქრისტეან ალბანელთა სამწყსოისა, წმინდა მოვალეობად მიგვაჩნია აღვნიშნოთ მათი პირ-ვარამი, რომელიც მარტოოდენ თქვენს ხელქვეით სამღვდელობის მიერ მოევლინა მათ, და მამა-შვილურის მორჩილებითა და მოწიწებით გაუწყოთ მათი სურვილი, და უმდაბლესად შევსთხოვოთ თქვენს ყოვლად-მაღალ-უსამღვდელოესობას, ჯეროვანი ყურადღება მიაქციოთ ჩვენს უკიდურესს გაჭირვებას, რომლის ატანაც ყოვლად შეუძლებელი შეიქნა; წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილად შესაძლებია, რომ ქრისტეან ალბანელთა ეკკლესიამ უარ-ჰყოს თაოსნობა მსოფლიო პატრიარქისა და სრულიად გაუდგეს მას. ჩვენი მბრძანებელი ხონთქარი სიამოვნებით აგვისრულებს თხოვნას, და ალბანელებს საკუთარ, დამოუკიდებელ საეგზარხოსოს დაუწესებს; ხოლო ბრალი ჩვენის ასეთის საქციელისა ჩვენ-კი არ მოგვედება, არამედ იმ სამღვდელოებას, რომელიც წინააღდეგობს მაცხოვრის აღთქმას—იქადაგეთ სახარება ყველა ენებზე და ნურავის განიკითხავთ ეროვნობითაო“.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

„პედაგოგები“ კომ. 3 მოქმ. ოტტო ერნსტისა, თარგმ. დ. ნასუცრიშვილისა და „დათვი“ ვოდ. ან. ჩეხოვისა, გადმოკეთებული გრ. ვოლსკის მიერ. „პედაგოგები“, ანუ „აღმზრდელი ფლაქსმანი“, როგორც რუსულად ეწოდება ამ პიესას, მეტად საჭირ-ბოროტო საგანს ეხება ჩვენის ცხოვრებისას. სწორედ ამ საგნის დიდ მნიშვნელოვანებით აიხსნება ის გულხმიერება საზოგადოებისა, რომელიც აღძრა ამ კომედიამ ყველგან და განსაკუთრებით-კი რუსეთში.

ეს საგანია აღზრდა მოზარდის თაობისა.

რაღა თქმა უნდა, საგანი იმდენად რთული ხასიათისაა, რომ მისი განმარტება სადრამატურგო ნაწარმოებში, ისე რომ არც ჭეშმარიტებას გადასცდეს კაცი და ამავე დროს დააკმაყოფილოს ყველა მოთხოვნილება სასცენო ხელოვნებისა, თითქმის რომ შეუძლებელია.

ის, რაც მხოლოდ მეცნიერულ ტრაქტატებით შეიძლება გამოირკვეს და გათვალისწინდეს, ავტორი იძულებულია სცენის პირობათ შეუფერადოს და მხატვრულის შემოქმედობის წყალობით სურათ-სურათად გვიჩვენოს, რათა საზოგადოებას არ მოსწყინდეს სჯაბაასი აღზრდის ამა თუ იმ სისტემის შესახებ.

ოტტო ერნსტიც სწორედ ამ აზრით ყოფილა განმსჭვალული, როცა ეს კომედია უწერია. კომედიაში მეცნიერულ კამათს აღზრდის ამა თუ იმ სისტემის გამო ვერ შეხვდებით. პიესაში ჩვენ ვხედავთ ორის სხვა-დასხვა ბანაკის წარმომადგენელთ; სწორედ ეს წარმომადგენელნი არიან დამახასიათებელნი ორის-ერთი-მეორის საწინააღმდეგო სისტემისა. ერთს მხარეს სდგას სახალხო სკოლის დირექტორი ფლაქსმანი მისის თანამოაზრე ხელქვეითებით. მეორეს მხრით-არის ახალგაზდა მასწავლებელი ფლემინგი.

ფლაქსმანი ძველის სისტემის გამომსახველია; მას სწამს, რომ ბალღი უნდა აღიზარდოს შიშსა, მოკრძალებასა და იმ უცნაურ წეს-რიგის შორის, რომელიც მას შეუქმნია. ეს წეს-რიგი-კი იმგვარია, რომ თითოეულ ბალღის პიროვნული გამომეტყველება თუ თვისება არად მიაჩნია,—ყველა ერთს ყალიბში უნდა ჩამოისხას, ერთსა და იმავე შაბლონად იქცეს. სასწავლებლის კარი დახშულია ცხოველ ცხოვრებისათვის, სიცილი და მხიარულება აღკრძალულია; მასწავლებელთ ყვავილების მოტანაც-კი ცოდვად ეთვლებათ. სამაგიეროდ ოსტატთა და მოწაფეთა სახელმძღვანელოდ მას შეუქმნია 120 მუხლიანი წეს-რიგი. პიესიდგან არა სჩანს რა გვარ სიბრძნეს შეიცავს ეს წეს-რი, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ზოგიერთ თვისებათ, რომელსაც ფლაქსმანი იჩენს სწავლა-განათლების საქმის გამო,—ადვილად მივხვდებით, რომ ეს ასოცი მუხლი ასოცნაირად ჰხლუდავს მოსწავლეთა თითოეულ გაფანცქალებას და სწამლავს სასწავლებლის ჰაერს. ერთის სიტყვით, ფლაქსმანი და მის მიერ დაკანონებული წეს-რიგი უსაშინელესი პირობაა ზნე-ჩვეულების გაწვრთნისა და ცოდნის დანერგვისათვის, დაობებული რუტინაა, რომელსაც შთაუნთქავს თვით დედა-აზრი და შინაარსი აღზრდისა.

მასწავლებელი ფლემინგი სრული ანტიტეზია ფლაქსმანისა. მასში მოიპოვება ჯადოსნური ძალა, რომლის წყალობით მოსწავლეთა სულიერი ვითარება ხელის გულივითა აქვს გადაშლილი (ასე ახასიათებს მას პროფესორი პრელი). მოზარდ თაობის აღზრდის საქმეში იგი აღიარებს პრინციპად არა საერთო შაბლონს ყველა მოწაფისათვის, არამედ აღზრდას, დაფუძნებულს თითოეულის ბალღის ხასიათის შესწავლაზედ. იგი ამბობს, მხოლოდ ჩექმა შეიკერება ერთსა და იმავე კალაპოტზედ და ცხოველი ორგანიზმი, სულიერი არსება ჩექმა როდია, რომ ყველა ერთ ყალიბზედ გამოქნასო. რამდენათაც ფლაქსმანია' ფორმალისტი, იმდენად ფლემინგია ამ ფორმალიზმის მდევნელი და თავისუფლების მღაღადებე-

---

თრად მიღებული შავად გამოჩნდება, ბევრი უსამართლოდ გაშვებული,—თეთრად, რადგანაც ჩემი ხელმძღვანელი იქნება გულწრფელობა, ჭეშმარიტება და მიუდგომლობა. და ახლა-კი მშვიდობით! ნურვინ იფიქრებს, რომ მე ესეები ყველა ვისმეს სასაყვედუროდ მეთქვას. არა, პირიქით ჩემი გულის გასაწმენდათ წარმოვსთქვი. ენა ცოცხია გულის. რომ წარმოვსთქვამ გულში ნადებს, გული გაიწმინდება, შიგ აღარა რჩება-რა, გარდა ერთგულებისა და სიყვარულისა მისდამი, ვინც მყვარებია. მართალია გული-კი მწყდება და თვალებიც მემღვრევა, მაგრამ ნუ ჰგონია ჩემ მოკეთეებს, რომ ეს ჩემი დამამცირებელი რამ იყოს! ცრემლიც არის და ცრემლიც. იერემია წინასწარმეტყველიც-კი სტიროდა იერუსალიმს, მაგრამ ის ტირილი სულ სხვა ტირილი იყო. ბევრს უკვირდა მისი ტირილი და აი რას ეუბნებოდნენ თურმე:

ვის იგლოვ, იერემია?
თავზე რად იყრი ნაცარსა?
რად სტირი იერუსალიმს
და სოლომონის ტაძარსა?

—

ვინ იგულისხმებს გოდებას,
როცა შენ ერთი სტიროდე,
თუ იმავე დროს ილხენდეს
ათი-ათასი იროდე?

—

იერემიას გოდებით,
რომ ვინუგეშო მეც მინდა,
თუ სევდა გადამეყარა
და თვალზე ცრემლი მეწმინდა!

—

მაგრამ მე რა მრჯის მიბაძვას?
სად წმინდა კვერთხი? სად ჩხირი?
სად ჩემი სტვირი? სად მისი
იერქონის საყვირი?

—

ის მაღალ ჰანგზე ჰგოდებდა,
მე ბლიაძურად გავყვირი.
თუმც-კი ორივეს საგლოვის
ერთია სარჩულ-საპირი.

—

შემკრა, შემბოჭა შავ-ბედმა,
ტანჯვები გამიზვიადა.
და მწუხარება შავ-კუპრი,
გულზე დამაწვა ტყვიადა!

—

მოზარევ! ზარი აუშვი
ამირან გმირის კვნესითა!
ხმა გრძნობას შეუთანხმე
ძველ ჩვეულება წესითა

—

და ნაღველ-ქაფით გამილღვე
ეს მძიმე ტვირთი გულისა,
რომ ნიშნად გადმოვანთხიო
მომავალ სიხარულისა,

—

მაგრამ დიდება შემოქმედს!
სძლევს ქვეყნის სავალალოსა:
თანსწორ ამოაცენებს
საწამლავ-სამკურნალოსა.

—

მეც ცისარტყელად მესახვის
იმედი მომავალისა,
წყნარი, შვიდ-ფერი, შვიდ-ძალი,
ტკბილად ამხელი თვალისა.

—

იქ ვხედავ მეთაურებსა
კანგამოცვლილად სუყველას,
როგორც, ყოფილსა მყრალ-ჭიად
აბრეშუმისა პეპელას.

—

აღარ არიან მათ შორის
კიკოლიკ-ტეტიკელები,
რომ მხოლოდ პირადობისთვის
ააფოთარონ ხელები.

—

მათ ნაცვლად სხვები ჩაბმულან
მეთაურ-მოწინავეთა.
გზა დაბნეული ხალხისთვის
მოსედ და ისუნავეთა.

—

შრომობენ მოციქულებრივ,
თავი არ მოაქვსთ დიდათა
და კერძოს საზოგადოსთვის
აგებენ გზად და ხიდათა.

—

მეყო მეც აწმყოს ყვედრება
იერემიას ენითა.
ოცნებავ, ახლა სულ სხვა მსურს
დავმღერო ალმაფრენითა:

—

„კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,
დაფლეთილი ჰქონდა გული.

—

ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის,
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა
და რაღაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა.

—

ჰქონდა ჭირში მოთმინება
არც ჰკვნესოდა, არც ოხვრიდა!
უსამართლო ძლიერებას
მონურად თავს არ უხრიდა.

—

ბოლოს მაინც გამარჯვება
დარჩა, ყველა გააოცა.
და ის ღვაწლი მაგალითად
მიწის შვილთა მან გამოსცა.

—

კავკასიის მაღალ-ქედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის თურმე მგოსნის გული
და მტრები-კი ყვავ-ყორანი.

—

მაგრამ ერთ დროს თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი.
სიხარულად შეეცვლება
მგოსანს ძველი გასაჭირი!—

—

აგერ ვხედავ მომავალში:
გამოსულა მუშად ერი.
ერთმანეთთან შეთანხმებით
ძლიერი და ბედნიერი.

—

გზაც გაჰყავს და ხიდსაც აგებს
სისხლითა და ოფლით რწყულსა
და მომავლის მოიმედე,
აღარ იმჩნევს წყლულად წყლულსა.

—

გამარჯობა ნამდვილ მშრომელთ!
ვაშა! ვაშა! მომავალსა!!
ის ასწორებს დღევანდლების
გამრუდებულ გზა და კვალსა.

—

აღიარებს მხოლოდ ძმობას,
თანსწორობას, სიყვარულსა
და საზღვარი არ ექნება
მის უნაკო სიხარულსა!

—

შორით ვხედავ იმ ნეტარ დროს,
იქ გადამაქვს თანაგრძნობა
და აწმყოშიც მითი სტკბება
ჩემი გული და მგოსნობა.

აკაკი.

ლი. ერთის სიტყვით, ფლემინგი ერთად-ერთი შუქია იმ საერთო გონებრივ წყვდიადში, რომელიც გაუმეფებია ფლაქსმანს.

რაღა თქმა უნდა, ეს ორი მოწინააღმდეგე ძალა ერთად ვერ მოთავსდება, ერთმანეთს ეურჩება და საქმე იქამდის მიაღწევს, რომ ფლემინგი დირექტორს ეტყვის მასწავლებელი-კი არა „მეჩქმე“ ხარო. ამის გამო გაიგზავნება მოხსენება მთავრობის წინაშე; იქიდგან პროფესორს პრელს დაჰნიშნავენ საქმის გამოსარკვევად; პროფესორი პრელი გამოიძიებს საქმეს, დაათვალიერებს სასწავლებელს და დარწმუნდება, რომ ფლაქსმანი აღმზრდელი-კი არ არის,—არამედ დამახინჯებელია მოზარდ თაობისა და რომ ფლემინგი საერთოდ უნიჭიერესი ადამიანია და კერძოდ-კი შესანიშნავი მასწავლებელი.

აი, ქარგა, რომელზედაც უნდა იყოს მოქსოვილი მთელის პიესის შინაარსი მისის წვრილმანებით, მაგრამ ავტორი გადასცდენია ამ ფარგალს და ინტრიგის განვითარებაში ისეთი ელემენტი შეუტანია, რომელიც ჩრდილსა ჰფენს პიესის მთავარ აზრს და თითქმის მთლად აბათილებს მის მნიშვნელობას.

საქმე იმაშია, რომ ფლაქსმანი და მისი მოაზრე, დირკსი (ვ. გამყრელიძე) იმის გარდა, რომ რუტინიორები არიან, ამავე დროს და უფრო უმთავრესად ბოროტ-მოქმედნი და ავაზაკნი არიან. თითონ ფლაქსმანი, როგორც პიესის დასასრული გვაუწყებს, ყალბის მოწმობით შესულა სამსახურში; მთელის პიესის განმავლობაში-კი ავტორის მეცადინეობა თითქმის სულ იმაზედ არის მიქცეული, რომ რაც შეიძლება სრულად გვიჩვენოს ავაზაკური მოქმედება ფლაქსმანისა და დირკსისა. იგინი ჯაშუშობენ, ყალბობენ, ქვემძრომობენ; ფლაქსმანი ამასთანავე ერთ-ერთ მოწაფის დედის გაუპატიურებას განიზრახავს, რასაც პატიოსანი ქალი ძალიან შორს დაიჭერს და აი, სწორედ ამაზედ არის აშენებული მთელის პიესის ხლართი.

იმის მაგიერ რომ ჩვენ ვხედავდეთ ბრძოლას ჭეშმარიტ მეცნიერებისა და დამყაყებულ-დახავსებულ სისტემის შორის, ავტორი გვიჩვენებს ზოგად ბრძოლას სიკეთისას ბოროტის მიმართ. ფლაქსმანი ჩვენთვის საინტერესოა არა როგორც ზოგადი ბოროტ-განმზრახველი, არამედ როგორც უწყებულ აზრის გამომსახველი აღზრდის საქმეში. ჩვენის აზრით, ფლაქსმანს უნდა დაბეჯითებით სწამდეს, რომ მის მიერ აღიარებული სისტემა სწავლა-აღზრდისა შეუცდარი ჭეშმარიტებაა და აი, სწორედ ამ რწმენაში უნდა ჰპოვებდეს იგი ძალას საბრძოლველად. მაშინ იგი გაცილებით საინტერესო იქნებოდა და პიესის დედა-აზრი ისე არ დაიჩრდილებოდა, როგორც ახლა არის. იმ ხასიათით-კი, როგორც იგი პიესაშია გამოყვანილი, ფლაქსმანი მოგვაგონებს ჩვეულებრივ მელოდრამულ ტიპს ავაზაკისას.

ეს კომედია ჩვენმა მსახიობებმა მშვენივრად წარმოადგინეს. თითოეული მათგანი ცდილიყო, რომ მისს მიერ განპიროვნებული მოქმედი ყოფილიყო ტიპი, ავტორის მიერ განზრახული. ამ მხრივ ყოველთ უწინარეს უნდა აღვნიშნოთ ბ-ნი გედევანოვი, რომელიც საუცხოვო იყო ფლაქსმანის როლში, იმ ფლაქსმანისა, რომელიც ავტორმა შეაზავა. მსახიობმა წარმოგვიდგინა ბუნებისაგან დასახიჩრებული ადამიანი, ზაფრა აშლილის სახით,—თავ-გვერდელა და სულიერად-კი ქვემძრომი, გველივით მოსისინე. მსახიობის ბრალი როდია რომ ფლაქსმანი უფრო ავაზაკი იყო, ვიდრე რუტინიორი, ეს დანაშაული ავტორს მოეკითხება. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ, არ იქნებოდა ურიგო, მსახიობს უფრო მეტი ყურადღება მიექცია ფლაქსმანის იმ თვისებათათვის, რაც ახასიათებს მას ვით უწყებულ აზრის კაცს, რომლის სული და გული უმწვერვალესს ფორმალიზმს შეუჭამია.

ბ-ნნი აწყურელი და სვიმონიძე,—მასწავლებლების ვეილდენბაუმის და რიმანის როლებში ყოვლად შეფერებულნი და ტიპიურნი იყვნენ გრიმით თუ მოქმედებით.

ბ-ნმა შაიირიშვილმა სუსტად აღნიშნა ის ზე-აღმტაცი ზნეობრივი ძალ-ღონე ფლემინგისა, რომლითაც იგი ჰხიბლავს ყველას, ვისაც-კი შეუძლიან მიჰხვდეს, რომ უკვდავება „მშვენიერს სულში მდგომარებს“. მსახიობის თამაშობას აღფრთოვანება აკლდა.

ამას წინად, რამდენათაც გვახსოვს, არჩილ ჯორჯაძემ ურჩია ქ-ნ ლეჟავას, „მუსიკის გაკვეთილები აიღეო—მე-კი ჩემის მხრით ამ რჩევას იმას დავუმატებ, რომ არ იქნებოდა ქ-ნ ლეჟავასათვის ურიგო ცეკვის გაკვეთილებსაც შეუდგეს, რათა ცოტა არ იყოს შალაშინი გაევლოს მისს გარეგნულ ნარნარობა მოკლებულ და უსხარტო მიხვრა-მოხვრას.

ქ-ნ გამყრელიძის გრიმმა გაგვაოცა... რად იყო იგი მასწავლებელ ქალის ბეტა შტურკმანის როლში შავის ფერადით ისე მოთხუპნული?

ვერ ვეთანხმებით ბ-ნ მესხს, რომ მან პროფესორი პრელი სამარის კარზედ მდგარს მოხუცს მიამგზავსა და რაღაცნაირის კივკივით დადიოდა. პროფესორი პრელი ძალ-ღონით სავსე მოხუცია, ცხოველი ბუნების ადამიანი, მართალია, იგი ხან-და-ხან მოიუცნაურებს, მოიოხუნჯებს, მაგრამ ეს ხომ იმავე ცხოველმყოფელობის ნიშანია.

კარგი რამ იყო ბ-ნი გუნია საპატიო მზრუნველის როლში. ეს მზრუნველი ზოგადი ტიპია იმ საპატიო პირებისა, რომელნიც ყველა დაწესებულებაში მოიპოვებიან და ყოველგან მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობა აქვთ ხოლმე.

ვოდევილ „დათვზედ“ მხოლოდ ის ითქმის, რომ იგი მოხდენილი ვოდევილია, მშვენივრად არის ნათარგმნი (ამას ჩვენ იმის მიხედვით-კი არ ვამბობთ, რა ენითაც სცენაზედ ლაპარაკობდნენ, არამედ თვით წაგვიკითხავს) მაგრამ ბ-ნმა აბაშიძემ და ქ-ნმა კარგარეთელმა ეს ვოდევილი ძალიან უფერულად წარმოადგინეს. იმის მიზეზი როლების უცოდნელობა გახლდათ.

წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

1 ნოემბერი

მოსკოვი. მთელს ქალაქში ტრამვაების გამართვისათვის ნაანგარიშევია 40 მილიონი მანეთი და უნდა დასრულდეს ხუთ წელიწადში.

მადრიდი. მაროკოში მდგომარეობა მეტად გაჭირვებულს უთვაშია, განსაკუთრებით ტეტუანში, სადაც ევროპიელებს შიში აქვთ, ქაბილები არ დაგვეცნენო.

სან-ფრანცისკო. სანტა-მარიას (გვატემალაზე) ვულკანმა ამოხეთქა და ერთიანად დაანგრია სოფლები პალმარი, სან-ფელიპე, კოლომბია და კოატეპეკი. ბევრიც დაიხოცა.

ტანჟერი. მაროკოს მთავრობამ გემი „თურქი“ გაგზავნა ტეტუანს იქაურის ფაშის მისაშველებლად, თან იარაღები და ხორაგეულობა წაიღო. ბენიდერის ქაბილები ქალაქს ემუქრებიან, თუ დაჭერილებს არ გაანთავისუფლებთო.

გიბრალტარი. ინგლისის სამი ჯავშნიანი სამხედრო გემი ტეტუანს წავიდა.

ლონდონი. დღეს წავიდა აქედგან ტანჟერს კაიდ-მაკლეანი, მაროკოს სულთნის მცველების უფროსი.

ლენსი. ქვა-ნახშირთა მუშების კონგრესმა დაადგინა, მუშაობა დავიწყოთო.

პარიჟი. სამხედრო ტანთსაცმელში გამოწყობილმა ვიღაც ფელდფებელმა პალატაში რევოლვერი ოთხჯერ გაისროლა და თან წამოიძახა „სამშობლოს გაუმარჯოს!“ გამსროლი დაატუსაღეს. როგორც ეტყობა, ჭკუაზე შემცდარი უნდა იყოს.

ბელგრადი. სესხის შესახებ მოლაპარაკება კარგად მიდის. ვუიჩი საფრანგეთის ფინანსთა მინისტრს მოელაპარაკა და, როგორც ეტყობა, ნებას მისცემენ პარიჟის ბირჟაზე გამოიტანონ სესხის ქაღალდები გასასაღებლად.

ბუქარესტი. მეფე სინაიას დაბრუნდა.

ბელგრადი. საღამოს გაზეთები იუწყებიან, ვითომ მინისტრების სამსახურიდან გამოსვლას მოელიანო.—გაზ. „სრბსკა ზასტავა“-ს რედაქტორს ციხეში ერთის წლით ჩაჯდომა მიუსაჯეს მეფის შეურაცხყოფისათვის.

ლონდონი. კონსერვატორი გიბსონი პალატაში დაეკითხა ჩემბერლენს: მოგეხსენებათ თუ არა, რომ ჩინეთიდგან წერილი ხმელეთით მე-26 დღეს მოდის ლონდონს, გემით-კი მხოლოდ მე-44 დღეს და გნებავთ თუ არა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოთ, როცა საფოსტო წესების განხილვას შეუდგებითო? ჩემბერლენმა მიუგო: მართალია, შეიძლება ჩინეთიდგან წერილები მე-26 დღეს მივიღოთო., როცა საფოსტო წესების შეცვლას შევუდგებით მომავალში, ციმბირის გზას უყურადღებოდ არ დავსტოვებთო.

ბერლინი. რომიდგან გაზ. „ფოსიშე ცეიტუნგ“-ს ატყობინებენ, რომ სტრომბოლის ვულკანმა მოულოდნელად მოქმედება დაიწყო. კუნძულის მცხოვრებნი შეშინებულნი არიან იმით, რომ ვულკანმა წვიმასავით სქლად ფერფლი გადმოყარა, ნაცდი გადმოანთხია და მიწაც იძვრის.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრი სლუჩევსკი, თანახმად მისის თხოვნისა, განთავისუფლებულ იქმნა „პრავიტელსტვენი ვესტნიკ“-ის უფროს რედაქტორობის მოვალეობისაგან და იმას მაგიერ დანიშნა შინაგან საქმეთა მინისტრთან განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელე მე-5 კლასისა კულაკოვსკი.

ლონდონი. მალკომი შეეკითხა პალატაში ვენაში ინგლისის ელჩად ყოფილმა რუმბოლდმა მიიღო მთავრობისაგან ნება, თავისი მემუარები დაებეჭდა „ნაციონალ რევიუ“-შიო? კრანბორმა მიუგო, რომ ამის ნება არ უთხოვნიათ და მემუარების მთავრობის ნება-დაურთველად გამოქვეყნება უნდა სასტიკად გაკიცხულ იქმნეს. თუ ახალ დროის ამბებს შეეხება და ამათ შესახებ ცნობაც ოფიციალურად მიღებულიაო.

რიგა. გადაიწვა წისქვილი, სახლი და მაშინები დაზღვეული იყო. ზარალი 100,000 მანეთამდეა.—გადაიწვა სადურგლო რუს ბალტიის სავაგონო ქარხნისა. ზარალი 150,000 მანეთისაა. დაზღვეულ იყო.

ცარიცინი. ვოლგა იყინება.

იალტა. საშინაო საქმეთა მინისტრმა ინახულა სამაზრო ერობის გამგეობა, ყველა კითხვების შესახებ მიიღო განმარტებითი ბარათები და ანგარიშები და დაათვალიერა საერობოს ქსენონი.

ბათომი. 31 ოქტომბერს, ჩაქვს შეიარაღებულნი ბოროტ გამზრახველები დაეცნენ ჩაქვის საუფლისწულო მამულების ბუხგალტერს—ხაზინადარს, წაართვეს 400 მან, და მძიმედ დასჭრეს.

ლანი. პადეკალეს ხეობაში გაფიცვა დასრულდათ.

დენენი. მუშებმა მუშაობა იწყეს.

აკულენდი. აქიდგან, სამაოას კუნძულისა, იუწყებიან, რომ კუნძულს სევაიზედ ვულკანმა ამოხეთქა. სოფელი ორს გოჯზედ მოიფერფლა.

სოფია. ბოლგარიის გაზეთები იუწყებიან, რომ მეფის მთავართან შეხვედრა აღადგენს მეგობრულს განწყობილებას ორივე სახელმწიფოთა შორის.

დეპუტაცია, მინსკის პოლკისათვის მისალოცად წასული კიშინევს, რუსების მიღებით აღტაცებული დაბრუნდა.

საერობო კრებას შეეკითხნენ შესახებ ზომებისა, რომელიც უნდა მიიღოს მთავრობამ მაკედონელთა გადმოსახლებულების გამო.

პარიჟი. მთამ შეეკითხა შესახებ გემების აშენების შეწყვეტისა. პალატა, 331 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 152-ისა, მორიგს წესზედ გადავიდა.

მადრიდი. გაზეთების სიტყვით, საგასტა უარს იტყვის ახალი კაბინეტის შედგენაზე.

ბოხუმი. სამაღაროში ჩამოიქცა მიწა და 7 კაცი მოიკლა.

სტამბოლი. ცნობა შესახებ სამოქმედოდ გაწვეულ ბატალიონების დათხოვნისა ნაადრევია, თუმცა-და მალე-კი უნდა დაითხოვონ, რადგან ბრბოთა არსებობა ბოლო მოღებულად ითვლება

2 ნოემბერი.

მადრიდი. როგორც ცეუტიდგან იუწყებიან, მაროკოს მდგომარეობა საშიშია. ტეტუანის გუბერნატორს შეტაკება მოუხდა ბენიდერის ქაბილებთან.

ლიუქსემბურგი. სახელმწიფო მინისტრმა ეინემ გააცნო მთავარი მუხლები გერმანია-ლიუქსენბურგის შეთანხმებისა საბაჟო კავშირის ვადის გაგრძელებისა და ვილჰელმ-ლიუქსენბურგის რკინის გზის სარგებლობის შესახებ.

შანჰაი. ხმა გავარდა, ჯილის ვიცე-კოროლი იუანშიკაი ინახულებს ვიცე-კოროლ ჯახჯიდუნს ხანკოუში და მოელაპარაკება მინდინარე საქმეებზედაო.

ბელგრადი. სკუპშჩინაში კრებები რამდენსამე დღეს არ მოხდება. ველიმიროვიჩს ჰსურს დარწმუნდეს, იქნება მის მხარეს, როგორც წინად, უმრავლესობა, თუ არაო. სამინისტროს ბედი ამაზედაა დამყარებული, ზომიერ-რადიკალებისა და ნაპრედნიკების კავშირი დაცული იქნება თუ არაო.

სოფია. კრებაზე დანევმა ითხოვა სხდომის გადადება. გენერალ გრუიჩი დღეს მიდის. მის პატივის საცემლად რუსის საკონსულოში გამართულ იქმნა სადილი. დანევის სამინისტრო სამსახურიდამ გამოვიდა. ხმა დადის, რომ სამინისტროს შედგენა მინდობილი აქვს დანევს. კრების სხდომები გადადებულია.

იალტა. იალტაში მობრძანდნენ საბერძნეთის ბატონიშვილი ნიკოლოზი და დიდი მთავრინა ელენა ვლადიმირის ასული საიმპერატორო იახტით „შტანდარტით“ სევასტოპოლიდამ. ნავსაყუდზე მათ შეხვდნენ მათი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი და ამალიი და გაემართნენ ეტლებით ლივადიაში. პირველ ეტლში ისხდნენ დედოფალი დიდი მთავრინანი, მეორეში ხელმწიფე იმპერატორი ბატონიშვილით. სტუმართათვის დამზადებულია ოთახები ლივადიის სამინასტრის სახლში.

მარსელი. ხმელთა შუა ზღვის პირად მდებარე ადგილების ნახშირის მთხრელ მუშათა შორის გაფიცვა მოისპო.

ტანჟერი. ორშაბათს სულთანი მეკუესში წავიდა.

სან-ფრანცისკო. „სულთან მარიას“ ვულკანმა მოქმედება დაიწყო.

გიბრალტარი. სამი ინგლისელი კრეისრები, რომლებიც ტეტუანში იყვნენ გაგზავნილები, დაბრუნდნენ და იტყობინებიან რომ იქ არეულობა სრულიად მოისპობილიაო. ამტკიცებენ რომ კაბილებს გაუგზავნიათ დეპუტაცია, ახალის თხოვნით. რომელშიაც პატივებას ითხოვენ თურმე. მოგზაური, რომელიც კაბილებმა დაატყვევეს, უკვე განთავისუფლებულია. სრული მშვიდობიანობა სუფევს.

მადრიდი. სამინისტრო შესდგა საგასტას თავმჯდომარეობით. გარეშე საქმეთა მინისტრია—გერცოგი ალმოდოვა, იუსტიციისა გუიგცერვერი, ფინანსისა—დე-ევუიმორი, შინაგან საქმეთა—მორია, სამხედრო—ვეილერი, საზღვაო—ვერაგუავ სახალხო განათლებისა—რომანონესი და საზოგადო სამუშაოთა—ამოს სალვადორი

პეტერბურგის ბირჟა, 1 ნოემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,37½
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99⅜ მყიდ.
4½% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთა ბანკისა	94½ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	478½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	366½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	293½ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89⅝ წვ. გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	10,100 გაყ.
აქციები ,, „ „ „	510 წვრ. გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	5,010 გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	440 წვ გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	227 გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის ნოემბრის **9**-ს, შუადღის პირველ საათზედ, მისის თანადასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემ ბაჟის აკრეფისა შემდეგ ყაფნებიდგან: **1.** ავლაბრის მოედნისა, **2.** თათრის მოედნისა, **3.** ვერის მოედნისა, **4.** მაღაკანის მოედნისა, **5.** სალდათის ბაზრისა და **6.** დესნიმონის მოედნისა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობათა გასინჯვა ქალაქის გამგეობის კანცელარიის მე-4-ე განყოფილებაში დილ. 9 საათიდგან შუადღის 3 საათამდე.

(3—6.—3)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

(წ.)

GRAND PRIX
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

Парфюмерія

„Махровая Сирень“

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინის	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელის	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. პ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამუნი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძის	„	15

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 ноября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.